საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში კატეგორიულად უარყოფენ, როგორც მიღებულ, ყოველგვარ ინტერპრეტაციას. ის, რაც ჩვენ ვთქვით, და თქვენ, გაბონო სახელმწიფო მდივანო, ეს კარგად მოგეხსენებათ, — ეხებოდა სწორედ მხოლოდ რეალური სიტუაციას ამ საკითხში. და თუ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე — საქმის ნამდვილი ვითარების გამო თქვენი ინფორმირების მიზნით — ციფრების შესახებ, საქმე ეხებოდა სრულიად საწინააღმდეგოს, იმ პირთა რიცხვის შემცირების დასახულ ტენდენციას, რომლებსაც სურთ სსრ კავშირიდან წასვლა სხვა ქვეყნებში მუდმივად საცხოვრებლად.

მეტად საკვირველია, რომ მთელ ამ საქმეში, მისი პრინციპული მნიშვნელობის გამო, არ დარჩენ არავითარი გაუგებრობა საბჭოთა კავშირის პოზიციის თაობაზე.

ა. გრომიკო,
„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი“.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს

წელს 26 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს გადაეცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შემდეგი წერილი:

„პატივცემულო ბატონო სახელმწიფო მდივანო,

საკმაოდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაპყრო საკითხს, რომელიც ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენთვის ცნობილი მასალების გამოქვეყნებას. ეს მასალები შეეხება საბჭოთა კავშირიდან გარკვეული კატეგორიის საბჭოთა მოქალაქეების წასვლას.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ აღნიშნული მასალები, მათ შორის თქვენი და სენატორ ჯეკსონის მიმოწერა, ქმნის დამახინჯებულ წარმოდგენას ჩვენს პოზიციაზე და იმაზე, რაც მოვახსენეთ ამერიკის მხარეს ამ საკითხზე.

თქვენი წინადადებების პასუხად საქმის ნამდვილი ვითარება რომ გაგიმარტეთ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თავისთავად ეს საკითხი მთლიანად ეხება ჩვენი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას. ამასთან განვაცხადეთ, რომ აქ ვმოქმედებდით და ვიმოქმედებთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენში არსებული შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მაგრამ ახლა სწორედ ეს იჩქმალება. ამავე დროს იმ ახსნა-განმარტებებს, რომლებსაც ჩვენ ვიძლეოდით, ამჟამად ცდილობენ მიანიჭონ ჩვენი მხრივ რაღაც აღთქმებისა და ლამის ვალდებულებების ხასიათი სსრ კავშირიდან საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრების პროცედურის თაობაზე და ასახელებენ კიდევაც რაღაც ციფრებს ასეთი მოქალაქეების სავარაუდო რიცხვის შესახებ, ლაპარაკობენ გასულ წლებთან შედარებით ამ რიცხვის მოსალოდნელ გაზრდაზე.

ჩვენ გადაჭრით უარყოფთ ამგვარ ინტერპრეტაციას. ის, რაც ჩვენ ვთქვით, და თქვენ, ბატონო სახელმწიფო მდივანო, ეს კარგად მოგეხსენებათ, — ეხებოდა სწორედ მხოლოდ რეალური სიტუაციას ამ საკითხში. და თუ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე — საქმის ნამდვილი ვითარების გამო თქვენი ინფორმირების მიზნით — ციფრების შესახებ, სულ ეხებოდა სრულიად საწინააღმდეგოს, იმ პირთა რიცხვის შემცირების დასახულ ტენდენციას, რომლებსაც სურთ სსრ კავშირიდან წასვლა სხვა ქვეყნებში მუდმივად საცხოვრებლად.

მეტად საკვირველია, რომ მთელ ამ საქმეში, მისი პრინციპული მნიშვნელობის გამო, არ დარჩენ არავითარი გაუგებრობა საბჭოთა კავშირის პოზიციის თაობაზე.

ა. გრომიკო,
„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი“.

სკკპ დელეგაციის გამგზავრება

19 დეკემბერს მოსკოვიდან ბუდაპეშტში გაემგზავრა სკკპ დელეგაცია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მოსამზადებელ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ჟურნალ „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემების“ შეფ-რედაქტორი კ. ი. ზაროდოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

* * *

იმავე დღეს დელეგაცია ბუდაპეშტში ჩავიდა.

დიდი აღიარება

დელი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. ვ. კელდიშს მიენიჭა ინდოეთის კალკუტის სტატისტიკური ინსტიტუტის მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება. ეს კალკუტაში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოაცხადა დასავლეთ ბენგალიის შტატის თავარმა მინისტრმა ს. შ. რეიმ. მან მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის წვლილს თანამედროვე მეცნიერების განვითარებაში.

მე-17 პარალელის სამხრეთით

21 დეკემბერს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს თოთხმეტი წელი უსრულდება —

ამასწინათ სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალურ რაიონებს დაატყდა კოკისპირული ნიმები. ოკეანის სანაპიროზე ეფეხვარებდა ტაიფუნი. მდინარეები ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა.

სტიქიამ სამხრეთის განთავისუფლებულ რაიონებს აურაცხელი ზარალი შეაყენა. დაზარალდნენ ეროვნის კონტროლს დაქვემდებარებული რაიონებიც.

„განთავისუფლების ეროვნული ფრონტი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა ფართო მასშტაბის ღონისძიებებს მიმართავენ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად, სახალხო მეურნეობის აღსადგენად. თხიეუს ადმინისტრაციამ კი, რომელმაც ისარგებლა სტიქიური უბედურებით, სასწრაფოდ ატარებს „დამშვიდების“ ოპერაციას: დამსჯელი რაზმები მშობლიური ადგილებიდან აძევებენ გლეხებს, ართმევენ ბრინჯს, ქონებას.

ასეთი საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედების სხვადასხვა პოზიცია მკვეთრად უდგამს ხაზს ორ შინაპოლიტიკურ კურსს.

თუ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი და დროებითი რევოლუციური მთავრობა ხალხთან ერთად მხარდამხარ მდის, დაინტერესებულია მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ნეიტრალური სამხრეთ ვიეტნამის აშენებაში, თხიეუ ანტიხალხური, ანტიეროვნული რეჟიმის განსახიერებაა, რომელიც მტკიცედ არის გადაჯაჭვული უცხოეთის იმპერიალისტურ ძალებთან.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის უფლებები ვრცელდება სამხრეთ ვიეტნამის ორ მესამედზე — მე-17 პარალელიდან კამაუს ნახევარკუნძულამდე. ყველა 44 პროვინციაში მოქმედებენ სახალხო კომიტეტები. პარიზის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ განთავისუფლებულ ზონაში მიიღეს და ახლა ხორციელდება ომის შედეგების ლიკვიდაციის, წარმოების აღდგენისა და განვითარების ფართო გეგმა. სახალხო ხელისუფლება გლეხებს უფასოდ აძლევს ბრინჯს, აუცილებელ საოფლო-სამეურნეო ინვენტარს. დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების საქმეს. ყოველ თემში შექმნილია კულტურული ცენტრები.

სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტები, რომლებიც საომედოდ იცავენ განთავისუფლებულ რაიონებს საიგონელი დამსჯელებისაგან, რთულ პირობებში აშენებენ ახალ ცხოვრებას. ისინი ძირითადად ეყრდნობიან მეგობრების — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო დახმარებას. მაგალითად, საბჭოთა კავშირი გაუნთავისუფლებულ რაიონებს აწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მედიკამენტებს. ამ დღეებში მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რის საფუძველზეც საბჭოთა კავშირი 1975 წელს ეკონომიურ დახმარებას გაუწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას.

განუხრელად იზრდება და მტკიცდება განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საერთაშორისო პრესტიჟი. მათი მყარი პოზიციები პარიზის შეთანხმების დებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს მთელ მსოფლიოში. ამასწინათ იეტნის არაბთა რესპუბლიკამ, ანგარიშით უკვე 42-ე ქვეყანამ, — გამოაცხადა ვიეტნამის სამხრეთ რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. გაფართოდა სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტთა საერთაშორისო კავშირები მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებთან.

ყოველივე ეს აცოცხლებს საიგონის რეაქციულ ადმინისტრაციას. საიგონის რეჟიმი კვლავ უარს ამბობს ცნოს პარიზის შეთანხმებით მიღწეული რეალური პირობები სამხრეთ ვიეტნამში: — კონტროლის ორი ზონა, რი ადმინისტრაცია, ორი არმია და სამი პოლიტიკური დაჯგუფება. სწორედ ეს არის საიგონის რეჟიმის საერთო კრიზისის მიზეზი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ და მორალურ სფეროში. თხიეუ ჩიხში მოექცა და მას უკვე აღარ ძალუძს თავი დააღწიოს მას. იყო ცდა, რომ თხიეუმ თითქოს „შეარბილა“ თავისი რეჟიმის დიქტატორული ხასიათი, ჩაატარა წმენდა არმიაში და სახელმწიფო აპარატში, გადასინჯა კანონები ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიების შესახებ, მაგრამ ყველაფერს ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

ამისათვის, რომ შეაგროვოს ეგრეთ წოდებული „ომის ბიუჯეტისათვის“ საჭირო თანხა, საიგონის რეჟიმმა აუტანელი გადასახადები დააკისრა ხალხს. ფასები თვიბრუდამხვევად იზრდება. უმუშევართა არმია განუწყვეტლივ იზრდება და ამჟამად თითქმის ერთ მილიონ კაცს აღწევს. უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს ბიუჯეტს, საწილობრივ იფარება ოკეანეს გაღმიდან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ შეუწყვიტონ საიგონს დოლარების მიცემა, — წერენ ამერიკული გაზეთები, — მაშინ საიგონის რეჟიმის ეკონომიკა კატასტროფას ვერ ასცდებოდა.

ხალხის უკმაყოფილებას თხიეუს რეჟიმი უპირისპირებს ტეროს. საიგონის ხელისუფლებამ, „რომლებიც სისტემატურად აორგანიზებენ პარიზის შეთანხმებას“, ციხეში გამომწყვდიეს 200 ათასი პოლიტიკური პატიმარი, შექმნეს 600-ზე მეტი „ინტერირებულთა ბანაკი“, რაც თავისთავად საკონცენტრაციო ბანაკებია.

მზარდი ოპოზიციური მოძრაობა მოითხოვს თხიეუს შეცვლას ისეთი ადმინისტრაციით, რომელიც მზად იქნება შეასრულოს პარიზის ხელშეკრულების ყველა დებულება. სამხრეთ ვიეტნამში ძალთა თანაფარდობა თანდათანობით პატრიოტთა მხარეზე იხრება.

ო. ტროფიმოვი,
„ახალი ამბების საააგენტოს მიმომხილველი.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 18 დეკემბერი. (საკდესი). „მომავალი წლის იანვრის შუა რიცხვებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ეგვიპტეში შემობრუნების პუნქტი გახდება ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში. ჩვენი მხრივ, ჩვენ ვესწრაფვით ამ მეგობრობის სულ უფრო მეტად გაღრმავებასა და გაფართოებას“, — განაცხადა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა.

ეგვიპტის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ეგვიპტის პროგრესული პარტიის (აკეფის) დელეგაციისა პარტიის გენერალური მდივნის ე. პაპაიანუს მეთაურობით შესდგა პრეზიდენტ მაკარიოსს.

პრეზიდენტმა, ნათქვამია ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ აკეფის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში, დელეგაციას გააცნო პოლიტიკური ხაზი კვიპროსის საკითხში, რომელიც შეათანხმეს კვიპროსისა და საბერძნეთის ხელმძღვანელთა ამასწინანდელ თათბირზე ათენში.

აკეფის დელეგაციამ, აღნიშნულია ცნობაში, მაკარიოსს გადასცა დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით ჩამოყალიბებულია ბრძოლა ეგვიპტეს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებასა და ბევრ სხვა დარგში.

ძვირფასი მეგობრისა და ზმანაგის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი, უთუოდ იქნება შემობრუნების პუნქტი ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იმ გზაზე, რომელიც ერთად დავიწყეთ“. — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა ა. სადათმა.

ᲓᲦᲔᲡ

საკდესი და უცხოეთის კრესის სააგენტოები იტყობინებიან

• ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 დეკემბერი. (საკდესი). ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ 209 ხმით 189 ხმის წინააღმდეგ მიიწონა კანონპროექტი უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე საფინანსო წელს ამ მიზნებისათვის გამოიყოს 2,7 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი, რომელიც წინათ სენატმაც მოიწონა, ხელის მოსაწერად წარედგინა პრეზიდენტს.

კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის ვარიანტი შეიცავს შესწორებას, რომელიც ნებას აძლევს ადმინისტრაციას განაგრძოს 5 თებერვლამდე თურქეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევა. კონგრესის ბევრი მოღვაწე, როგორც ცნობილია, მოითხოვდა თურქეთისადმი ამერიკის დახმარების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, იმის გამო, რომ მან უკანონოდ გამოიყენა შეერთებული შტატების მიერ მიწოდებული იარაღი კვიპროსში ოპერაციისათვის.

ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ



ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 დეკემბერი. (საკდესი). ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ 209 ხმით 189 ხმის წინააღმდეგ მიიწონა კანონპროექტი უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე საფინანსო წელს ამ მიზნებისათვის გამოიყოს 2,7 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი, რომელიც წინათ სენატმაც მოიწონა, ხელის მოსაწერად წარედგინა პრეზიდენტს.

კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის ვარიანტი შეიცავს შესწორებას, რომელიც ნებას აძლევს ადმინისტრაციას განაგრძოს 5 თებერვლამდე თურქეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევა. კონგრესის ბევრი მოღვაწე, როგორც ცნობილია, მოითხოვდა თურქეთისადმი ამერიკის დახმარების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, იმის გამო, რომ მან უკანონოდ გამოიყენა შეერთებული შტატების მიერ მიწოდებული იარაღი კვიპროსში ოპერაციისათვის.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲜᲣᲚᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 19 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა რუმინეთის სოციალისტური ერთიანობის ფრონტის ეროვნული საბჭოს პლენუმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, სოციალისტური ერთიანობის ფრონტის თავმჯდომარემ ნ. ჩაუშესკუმ.

ᲣᲕᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝᲡᲘᲐ, 18 დეკემბერი. (საკდესი) კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის (აკელის) დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ე. პაპაიიანუს მეთაურობით შესდგა პრეზიდენტ მაკარიოსს.

პრეზიდენტმა, ნათქვამია ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ აკელის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში, დელეგაციას გააცნო პოლიტიკური ხაზი კვიპროსის საკითხში, რომელიც შეათანხმეს კვიპროსისა და საბერძნეთის ხელმძღვანელთა ამასწინანდელ თათბირზე ათენში.

აკელის დელეგაციამ, აღნიშნულია ცნობაში, მაკარიოსს გადასცა დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით ჩამოყალიბებულია ბრძოლა ეგვიპტეს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებასა და ბევრ სხვა დარგში.

ძვირფასი მეგობრისა და ზმანაგის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი, უთუოდ იქნება შემობრუნების პუნქტი ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იმ გზაზე, რომელიც ერთად დავიწყეთ“. — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა ა. სადათმა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 18 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საბერძნეთის დროებით პრეზიდენტად აირჩიეს პარლამენტის დეპუტატი „ახალი დემოკრატიის“ პარტიისაკენ მიხელე სტასინოპულოსი. მის კანდიდატურას ხმა მისცეს 206 დეპუტატმა, წინაადმდეგ იყო პარლამენტის 74 წევრი.

მ. სტასინოპულოსი პრეზიდენტის პოსტზე დარჩება ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რომლის სათანადოზე აირჩევენ მოელინეს, რომ კონსტიტუციის პროექტი მთავრობა ამ კიბეში წარადგინს პარლამენტის განსახილველად.

ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 დეკემბერი. (საკდესი). ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ 209 ხმით 189 ხმის წინააღმდეგ მიიწონა კანონპროექტი უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე საფინანსო წელს ამ მიზნებისათვის გამოიყოს 2,7 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი, რომელიც წინათ სენატმაც მოიწონა, ხელის მოსაწერად წარედგინა პრეზიდენტს.

კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის ვარიანტი შეიცავს შესწორებას, რომელიც ნებას აძლევს ადმინისტრაციას განაგრძოს 5 თებერვლამდე თურქეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევა. კონგრესის ბევრი მოღვაწე, როგორც ცნობილია, მოითხოვდა თურქეთისადმი ამერიკის დახმარების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, იმის გამო, რომ მან უკანონოდ გამოიყენა შეერთებული შტატების მიერ მიწოდებული იარაღი კვიპროსში ოპერაციისათვის.

ᲓᲠᲝᲨᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ალეკო შენგელიას სამოცი წელი შეუსრულდა. ძნელი წარმოსადგენია ეს, და თანაც არა იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მიღებულია შეცსდება — „ვერა, ვერ დავიჯერებ!“. თავად ბუნება მისი პოეზიისა, თვით მისი ლირიკული ხასიათი ჭაბუკური სიწრფელის, ჭაბუკური უშუალობისა და ჭაბუკური გატაცების განსახიერებაა. დიახ, უჭკნობი ასაკი და მტკიცე, ნათელი, მკაფიო ხასიათი ლექსისა გახლავთ ის თანდაყოლილი თვისება, რამაც ალეკო შენგელია გამოარჩია მკითხველთათვის და დღემდე შეუნარჩუნა საყვარელ პოეტად.

საყვარელი პოეტიო, ამასაც ხშირად ვერ იტყვი, რადგან ყველა ფრიად ცნობილი, დამსახურებული, პატივსაცემი და თუნდაც სახელოვანი პოეტი ყოველთვის როდის საყვარელიც. ალეკო შენგელია კი ბეჭნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, რადგან პირველი სტრიქონებიდანვე შეიყვარა ხალხმა და დღემდე უყვარს იმდენად, რომ სამნახევარი საუკუნე წლის მანძილზე აკა-იქ წამომცდარი სუსტი თუ ლიტონი ლექსიც კი აპატია და შეუნდო, თითქოს მისადაც არ ჩასთვალა, ვიდაცას თუ რადაცას გადაბარალა, ხოლო რაც იმთავითვე გუფთი სიმღერასავით შეინახა — დღესაც აქვს შემონახული და დღესაც დამღერებს კიდეც. მე არ მეგულება საქართველოში ლექსის მოყვარული კაცი, რომელსაც არ იცოდეს ლექსადაც და სიმღერადაც.

რა სცოდნიჯთ ამ პატარა ნამის
ღილებს,
თვალს ნაბავენ, თითქო შენი
თვალებია,
ერთხელ მაინც, ჩუმად მაინც
გამილიმე,
რა უღმერთო გაკვირება
გაკვირებია!..

ალეკო შენგელიას „ანდერძის“ სტროფები ხომ ქრესთომატიული გახდა და სამოცდაათიანი წლების რომანტიკოსი მათ ისევე ჩაგიბეჭდავენ, როგორც იქნებ, იზეპირებდნენ, სატრფიალო წამებებისას მოიშველიებდნენ კიდეც ომის წინა დღეს დაწერულ ჭაბუკი ჭაბუკი ოცდაათიანი წლების მიწერულისა.

... ალეკო შენგელია ეკუთვნის ქართველ პოეტთა იმ თაობას, რომლის თანრიგი, როგორც წესია, ლადო ასათიანის სახელით იწყება. ოცდაათიანი წლების ბოლოსაკენ ქართველ მკითხველს კვლავ მიეცა შესაძლებლობა პოეზიის წმინდა, აუმღვრევ წყაროს დასწაფებოდა. როგორც ეს ხმირად ხდება, საზოგადოებრივი ცხოვრების ქარტეხილთა და შტილთა მონაცვლეობის ჟამს ახალი სიტყვის თქმა ახალ პოეტურ თაობას დაედო ვალად. ამას დაეფარო კიდევ ერთი სიმპტომატური გარემოება: საგანგებო ხმოვანებით აკეცრდა იმ დროს — თბილისელთა გარდა — საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა ხმა. სვანეთმა და ხევსურეთმა, რაჭა-ლეჩხუმმა და სამეგრელომ, მტკვარმა და რიონმა, ალაზანმა და ენგურმა, მთამ და ბარმა თითქოს მიანდეს ლადო ასათიანს, მირზა გელოვანს, იოსებ ნონეშვილს, რევაზ მარკიანს, გაბრიელ ჯაბუშნურს, ალექსანდრე სარჯიას, სევერიან ისიანს, გიორგი ნაფეტვარიძეს, ალეკო შენგელიას და მათს თანატოლთ — კაცთმოყვარე და კეთილშობილი, სინდისიანი და ვაჟკაცური, ქართულ ხმელეთ-ზურმუხტში ფესვგამდგარი, მაგრამ ცა-ფირუზისკენაც ლტოლვით ასულდგმულებული, ისტორიის ნიაღვრიც ჩახედული და მომავლის ნათელსხილვითაც დაიმედებული სიტყვის წარმოთქმა. ქართული პოეზიის სატახტო ქალაქმა — თბილისმაც იქ ნაკურთხი პოეტური მთავარსარდლობის სახით — ნდობითა და სიხარულით შეიკედლა ახალგაზდანი.

გვიან ალეკო შენგელია წერდა სვევდანარევი სიმაყით: „ბევრი და კარგი პოეტი ჰყავდა ჩემს თაობას. უკეთესნი წავიდნენ, ბევრი ომის ქარიშხალმა წაიტაცა. მაგრამ ეს თაობა მაინც თამამად დგას ე. წ. „უფროსი“ და „უმცროსი“ პოეტების ძმარდამხარ, ქართული პოეზიის საერთო საგალობელში „თავისი ხმა“ აქვს, მე ვიტყოდი, გამორჩეული კი“. ასეთი „გამორჩეული“ ხმა გამოაყვა ალეკო შენგელიასაც — მუდამ ერთგულს ლირიკული პოეზიისა და ღრმად მორწმუნეს იმ მცნებისა, რომლის თანახმად კრანით დამდერებული საკუთარი ქანგი მეტს არგებს მკითხველს, მამულს და ხელოვნებას, ვიდრე რიხით ნაგები ნასხვისარი და გადასამდერი. აკი თვითონაც დაგვიდასტურა პოეტმა ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში: „დიდ გზას გარდიგარდმო ყოველთვის ბილიკები ჭრის. ბავშვობიდანვე შარაგზას ეს ბილიკები მერჩია. ჩემს წარმოდგენაში ელვასავით მიიკლაკნებოდნენ ეს ბილიკები შორს, შორს, შეუცნობლისკენ, სანატრელისკენ, ზღაპრულისაკენ, და ის ბილიკები ყოველთვის ჩემად, საკუთრად მიმაჩნდა... ამ საკუთარის ძებნაში, ამ საკუთარის სიყვარულში იწყება და თავდება პოეტი“.

ჩვენ ვიცით, როგორ „დაიწყო“ პოეტი ალეკო შენგელია. მისი ბილიკი სიყვარულის ბილიკი იყო — „საქართველოს მანანებით“ მიზიდული თუ პატრიოტული შემართებით გაკვალული. „ანდერძში“ — ორივე ეს განცდაა დაბანდებული. თან ორივე გრძნობა იმთავითვე ერთი საერთო სუნთქვითი სუფდგმულობს — ერთიანან გარემოსა და ატმოსფეროშია შობილი. ეს გასლავთ ორმოცდაი წლების ზღვრებლზე ზნეობრივად ალალი და ჯანსაღი ახალთაობისათვის ბუნებრივი საზოგადოებრივი გარემო და ატმოსფერო. რევოლუციური რომანტიკა უწოდეთ ამას თუ ახალი ქვეყნის აღმშენებელთა სულისკვეთება, კომკავშირული ენერგია და გატაცება თუ მოახლოებული ომის წინადღეს საბჭოთა და ქართული პატრიოტიზმის შერწყმა-შესაბამება. ყველა ეს გრძნობა „დამუხტული“ იყო საკუთარი ჭაბუკობისა და ქვეყნის სიჭაბუკის განცდა-შეგნებით. კომკავშირს პოეტი ასე ახსენებდა:

ყრმობის დღეთა ტკბილი დედა
და მეგზური ჩემი ბედის.
ვაჟკაცობის გაზაფხული,
ჩვენთა ფიქრთა შემოქმედი.

ეს უანგარო და გულწრფელი გრძნობა გახლდათ. მასში არამც თუ სიყალბის — უბრალოდ „ვალის მოხდის“ მისხალიც კი არ იყო გარეული:

გახსოვს ფიცი უწმინდესი?
ღაბის თეფრად გათენება?
მას ვუმღერდით — ჩვენს
ოცნებას,
ჩვენს სიყვარულს რაც ენება...

ამიტომ შემრჩა არა მარტო ხალისად მო

პარტიის ერთგული შვილი



ნ. მ. ლეჟავას დაბადების 90 წლისთავის გამო

ჩვენს წინაშეა მტკიცე ბოლშევიკი-ლენინელის, 1904 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრის ნოე მაქსიმეს-ძე ლეჟავას დროისაგან გაყვითლებული ავტობიოგრაფიის ფურცლები. ავტობიოგრაფიაში არის ასეთი სტრიქონები: „არავითარი ქონება არ გამაჩნია, ვცხოვრობ პროლეტარულად, მზად ვარ ყოველ წუთს შევწირო თავი ჩვენ პარტიას, რომელიც მუშათა კლასის მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს, მსოფლიო პროლეტარიატის პარტიას — „კომუნისტურ პარტიას“.

ნოე მაქსიმეს-ძე ლეჟავას მთელი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა მკაფიოდ ადასტურებს ამ წმინდა გულით ნათქვამ სიტყვებს. ნ. მ. ლეჟავა დაიბადა 1884 წლის დეკემბერში სოფელ კულაშში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ბავშვობიდანვე იწვნია მან არსებული. წყობილების უსამართლობა. 16 წლისა იყო ნოე, როცა პირველად გაეცნო რსდმ პარტიის ფურცლებს. 1902 წელს იგი მონაწილეობს ხონის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა გაფიცვაში.

1904 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ნოე ერიქსონის ფირმის ტელეფონის კანტორაში მუშაობას იწყებს მხაზველად, შემდეგ კი ზეინკლის თანაშემწედ თბილისში. აქ იგი შედის მუშათა წრეებში, რომლებიც იკრიბებოდნენ ნაძალადევში, აქტიურად მონაწილეობს რევოლუციური ფურცლებისა და მოწოდებების გავრცელებაში, მონაწილეობს დეპოში გამართულ მუშათა მიტინგებში.

1905 წელს ნ. მ. ლეჟავა მონაწილეობს საყოველთაო გაფიცვაში რკინიგზაზე, იბრძვის შტრაიკბრეხერთა წინააღმდეგ დეპოსა და რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, რისთვისაც აპატიმრებენ.

1905 წლის 29 აგვისტოს ქალაქის გამგეობაში გამართულ კრებაზე იგი დაჭრეს კაზაკების თავდასხმის დროს და მეორე დღეს დაატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ იგი შედის მუშათა რაზმეულში, და იარაღით ხელში იცავს დდუბისა და ნაძალადევის მუშათა უბნებს შავრაზმელთა მიერ დარბევისაგან, ასრულებს პარტიული ორგანიზაციის სხვა პასუხსაგებ დავალებებს.

1906 წელს, მეფის არმიაში გაწვევის დროს, ლეჟავა მონაწილეობდა ახალწვეულთა დემონსტრაციასა და ანდარმერიის განიარაღებაში ქუთაისის სადგურში, რისთვისაც კვლავ დააპატიმრეს და დასტლოებით ერთი თვე დაყო ქუთაისის ციხეში.

1907 წელს ქალაქ ბარანოვიჩში რკინიგზის ერთ-ერთ ბატალიონში სამსახურის დროს ლეჟავა მონაწილეობს ჯარისკაცების აჯალეგალურ კრებებში და აპატიმრებენ.

1907-იდან 1912 წლამდე ნ. ლეჟავა მუშაობს თბილისის დეპოში მემანქანის თანაშემწედ, აწყობს და ეხმარება მუშათა იატაკქვეშა კრებებს. 1912 წელს პროვოკატორთა დასმენით იგი დაითხოვეს რკინიგზიდან. შემდეგ იგი ეწყობა მემანქანის თანაშემწედ ქალაქ ალექსანდროპოლის დეპოში.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნ. ლეჟავა აქტიურად მონაწილეობს მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნაში, მას ირჩევენ ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ალექსანდროპოლის ბოლშევიკთა საქალაქო კონფერენციამ ნ. ლეჟავა პეტრე არჩევაძესთან, ბაგრატ ფარიჯანიანთან და სხვებთან ერთად აირჩიეს ბოლშევიკური კომიტეტის წევრად. მან ადადგინა ხელისუფალთა მიერ გარეცილი რკინიგზელთა კავშირი.

თურქეთის ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცთა შორის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის ლეჟავას დევნიან მენშევიკები, ეხერები და დაშნაკები.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების ამბავი ახალ ძალას მატებს ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ლეჟავა იმათ შორის არის, ვინც პროპაგანდას უწევს საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს. 1918 წელს პარტიის სამხარეო კომიტეტი ნ. ლეჟავას გზავნის დუშეთში. იგი იყო საქართველოს მენშევიკური ნთავრობის ჯარების წინააღმდეგ დუშეთ გლეხთა აჯანყებისა და თავდაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რისთვისაც დაატიმრეს მენშევიკებმა. მეტეხის ციხეში მას დაახლოებით ერი წელი დაყო.

1920 წლის დასლევს ნ. ლეჟავა კვლავ ბაქოშია პარტიულ სამუშაოზე. შემდეგ იგი მიავლინეს სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის კურსებზე. აქტიურად მონაწილეობს კრასნაია პრესნიას რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, სადაც ირჩევენ რკა რაიონული კომიტეტის წევრად და უბნის პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის თებერვალში, ნ. ლეჟავა ბრუნდება საქართველოში. მას ირჩევენ სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად და სხვ.

ნოე მაქსიმეს-ძე ლეჟავას ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინური პარტიის საქმის, კომუნიზმის დიადი იდეალების უსაზღვრო ერთგულების მკაფიო მაგალითია.

ბ. დევდარიანი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. (საქინფორმი).

ორი დღის წინ კუბის რესპუბლიკიდან თბილისში დაბრუნდა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჭოხონელიძე).

თბილისელი მოსწავლეები მონაწილეობდნენ საბჭოთა და კუბელი ახალგაზრდობის მორიგი, მესამე შეხვედრისადმი მიძღვნილ კონცერტებში, რომელიც მოაწყო საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

თავისუფლების კუნძულზე თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ვორონეჟის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ტრიო „რომენმა“, მოსკოვის ოპერეტის თეატრის მსახიობებმა, ტალინის ახალგაზრდულმა ვოკალურ-ინსტრუმენტალურმა ანსამბლმა და სხვებმა.

ნორჩი ქართველი მოცეკვავეები კუბელ მაუურებელთა წინაშე 7 კონცერტით წარსდგნენ, მათ შორის ერთი კონცერტი ჰავანაში გამართეს.

სურათზე: ანსამბლის წევრები თბილისის ვაგზალზე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს არავის ეკაჭიება

ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა...

ა. რა აკვიატებია მის გონებას, რისთვის გაჯავრებულა ა. მულაძე, რისთვის შეუთხზავს სასტიკი ბრალდებები რაიონის ხელმძღვანელობის მიმართ. ერთი სიტყვითი, მუშტი დაუმიზნებლად მოუქნევია და ვისაც მოხვდებოდა, მისთვის სულ ერთი იყო, ოღონდ კი გაემწარებინა ვინმე და ამით ფული მოეხვეჭინა.

მაგრამ მსჯელობას აჯობებს მისივე აღიარება მოვისმინოთ, რადგან ამჯერად ნამდვილად გულახდილად ლაპარაკობს:

— „დიახ, იმაზეც გეტყვით, წელან ოსიაურის კოლმეურნეობა რომ აშენეთ, მართალი გითხრათ, ადრე იქ თამჯდომარემ თუ რა დანაშაული ჩაიდინა, ნამდვილად არ ვიცი, ქრთამი თუ ვინმეს მისცა, არც ეს არის სწორი და ცილისმწამებლური ღა ჩემგან მონაჭორია“...

და ასე ზის ახლა ჩემს წინ ეს ბატკანივით მთვინიერებული კაცი და ამოიქმს სულ მუდამ ასეთი გულღია და გულწრფელი ყოფილიყოს, აშლიან საღრეული, ჰკვეთა და ჰკვეთა იმ ანონიმური და ცილისმწამებლური წერილების შეთხზვისა და გამოგონების ისტორიას, რომლითაც მაგანს მეერთამეობას აბრალებდა, მაგანს მრუშობასა და ორპირობას, სხვებს კომბინატორობას, თაღლითობას, ჭურდობას და ა. შ.

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილად უმიზეზოდ განაწყენებული კაცი ზემდგომ ინსტანციებში გაგზავნილ ანონიმურ წერილებში თეთრს შავად ნათლავდა, კეთილი საქმე ბოლმით ადავსებდა, სხვათა კეთილსინდისიერ სამსახურსა და მოღვაწეობას შურით სეფდავდა, თხზავდა და თეთრ ქაღალდზე გაპყავდა ცილისწამებით აღსავსე სტრიქონები, რომლებშიც ბოროტი აზრები ისე ოსტატურად არის ამოქარგული, რომ მის შემთხზველსა და დამწერს არც გამოცდილება აკლია ასეთ საქმეში და არც ახალშეიდა ემჩნევა. ამას ადასტურებს შინაარსი იმ ანონიმური წერილებისა, რომლებიც მულაძეს წელს სხვადასხვა დროს რესპუბლიკის ზემდგომ პარტიულ ორგანოში გაუგზავნია. იგი ამ წერილებში ნაშრში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოუშავე ბევრ კომუნისტს მრავალნაირ ბრალდებას უყენებს — ზოგს ქრთამის მიმცემად ნათლავს, ზოგს კი ამღებად.

ახლა კი ყოველივე ამას თვითონვე უარყოფს. კვლავ მოვუსმინოთ მას: „ჩემს მიერ გაგზავნილ წერილებში ნეფრინველეობის ფაბრიკაზე, პუკომბინატზე, რაიკავშირზე, რკინიგზის სადგურზე, ხეიხის კოლმეურნეობაზე, რეტორნებისა და ბუფეტების გაერთიანებაზე, მსუბუქ ავტომატრანსპორტო კანტორაზე, აღის საბჭოთა მეურნეობაზე, ხორცკომბინატსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაზეც მაქვს დაწერილი, თითქოს ბოროტებას ხიდიოდნენ და აქაური ხელმძღვანელები ქრთამს აძლევდნენ სხვებს. შინაარსი არ შეფფერება სინამდვილეს. ეს წერილები ჩემგან ცილისმწამებლური და მონაჭორია, დადასტურება არაფრით არ შემძლია. დაწერილია ჩემგან ცილის დაწამების და მონაჭორის გავრცელებისათვის“...

ასეთ პირად აღიარებას, რომ იტყვიან, კომენტარი და რაიმეს განმარტება აღარ სჭირდება, უფრო მეტ სიცხადეს და გარკვეულობას მართლაც ვერ შეიტანს მის ნათქვამში.

ამ ადამიანის მიერ დაწერილ ანონიმურ წერილებში მას რატომღაც დანაშაულად და დარღვევად მიაჩნია ის ძვრები, რომლებიც რაიონში ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად ხდება. მას აღაშფოთებს და არ მოსწონს კადრების გადასალისებისა და გაასალგაზრდავებისათვის გაწეული ძალისხმა.

პირდაპირ გასაოცარია, ისე როგორ უნდა აზოოვნებდე და ფიქრობდე კომუნისტი, რომ ასეთ მნიშვნელოვან და ფაქიზ პარტიულ მოღვაწეობაში ბოროტებას ხედავდე, შეგაკოთ გადაყვან-გადმოყვანას, ახალ თანამდებობებზე დანიშვნასა და დაწინაურებას დანაშაულის ჩადენის წყაროდ მიიჩნევდე. აი რას წერს ა. მულაძე ერთ-ერთ ანონიმურ წერილში; „ „ხალხი შემოკყავთ და ნიშნავენ თანამდებობებზე, ფულებს იღებენ, დამნაშავეებს არ სჯიან. მიიღეთ ზომები“.

თურმე ნუ იტყვით, რაიონის ტერიტორიაზე თუ სადმე ხანძარი გაჩნდა, შეკრბა დაინგრა ან ახალი აშენდა, ყველაფერ ამაშიც ბოროტება იწყვევდა, მაშინაც არაფერი არა თქვა, წარბიც კი არ შეაჭანა, როცა ახალი თანამდებობა შესთავაზეს და არსებინადაც მიიკლათა ადგილი საკარძელში. იგი პუბლიკაციების საშურის ბაზის დირექტორის მოადგილეობიდან, სადაც მან მოელი დრო მუშაკებთან კინკლაობაში გაატარა, შემნახველი სალაროს გამგედ დანიშნეს.

ოღონდ ეს მოხდა სექტემბერში, როცა ჯერ კიდევ არავინ იცოდა მისი ავკაცობის ამბავი, გამოვლინებული და გამომზეურებული არ იყო მისი ცილისმწამებლობა, რითაც იგი უმასპინძლდებოდა სხვებს. ეს ერთი ფაქტიც კი იმაზე მეტყველებს, თუ რაიონის ხელმძღვანელობა როგორ ყურადღებით ეკიდებოდა მულაძეს, როგორ ფიქრობდნენ აქ მისი სიკეთისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ მზრუნველობა არც უწინ მოკლებია ამ მართლაც უმადურ ადამიანს. იგი ნამდვილად გაათამამეს, „გაანებივრეს, ბავშვისა არ იყოს... მაგრამ საკითხავია, ამართლებდა კი იგი ამ ნდობას და დაფასებას? ნამდვილად არა. ერთგან რომ აურევდაურევდა, აადორიაქებდა საქმეებს, განიხილავდნენ, იმსჯელებდნენ და კვლავ ახალ ადგილზე გადაიყვანდნენ. ასე, მაგალითად, ფინგანის გამგეობიდან სუტი მუშაობისა და კოლეტივში არაჯანსაღი ვითარების შექმნისათვის, 1965 წელს გათავისუფლეს და პარტიული სასჯელიც დაადეს. შემდეგ სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეობა ანდეს. აქაც ჩაშალა მუშაობა და 1970 წელს კვლავ პარტიული სასჯელი მიიღო. აქედან პუბლიკაციების ბაზის დირექტორის მოადგილის საკარძელი მიართვეს, ჩვეულებას არც აქ უღალატა, ვერ შეეგუა მუშაკებს და კვლავ პარტიული სასჯელი დაიმსახურა.

ნდობამ, პატივისცემამ, რასაც მისადმი იჩენდნენ, გული როდი მოულბო და გაუკეთილშობილა. ამ ადამიანის მოქმედებას რომ უკვირდები, უნებლიეთ გაგონდება შესანიშნავი ოგავ-არაკი, რომელშიც მოთხრობილია კუსა და მორიელის მეგობრობაზე. აქაც ზუსტად ისეა, კუმ რომ სიკეთე უყო, მაგრამ მორიელმა მაინც ვერ მოიმალა ბოროტება.

ერთი სიტყვით, სადაც კი უმუშავნია ა. მულაძეს, სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, ადამიანებთან, მუშაკებთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაშიც უცნაურობისა და ავი ზრახვებისადმი მიღრეკილება გამოუჩენია. მაგრამ ამაზე მაშინ სერიოზულად არავინ დაფიქრებულა და ნამდვილი მდგომარეობა მთელი სიღრმით არც არავის შეუსწავლია. ახლაც არიან ხაშურში მუშაკები, კომუნისტები, რომლებსაც კარგად ახსოვთ პარტიის რაიკომის ბიუროზე, თუ სხვა ინსტანციებში ამ კაცის მიერ წუმად დაგებული მახვრი გაბმულ მოკინკლავეთა და მოჩხუბარ-მოდავეთა დიდი შეხლა-შემოხლა. ხან რომელიმე მუშაკზე გაავრცელებდა ჭორს, ხან თანამმრომლებს წაეკვეზედა, ერთმანეთს წაჰაზუებდდა და სამუდამოდ სამტროდ გადაკიდებდა.

აი როგორია ა. მულაძე, როგორი კაცი ატარებს კომუნისტის უწმინდეს სახელს, საბჭოთა მუშაკის საპატიო წოდებას.

ასე საამაკროზე გამოსატანად და გასაკიცხავად გაიხადა თავი ამ ადამიანმა, რომელმაც ვერ დაიტია გული ღვარძლი და ქაღალდზე გადაიტანა სიცრუე და მონაჭორები.

და ახლა, როცა თავისი ცოდვები სათითოოდ ჩამოკაკლა, დამშვიდდა, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილეო, ეყო გამბეჯალობა და პატიება ითხოვა — შეეცდი, ჭკუას ვისწავლი და ასეთ დანაშაულს არასოდეს აღარ ჩავიდენო, მაპატიეთო.

წარმოდგინეთ, არც კი შერცხვა ასეთი რამ ეთქვა. იცის, განა თვითონ არ იცის, რომ ასეთ მოქმედებას საბჭოთა მართლმსაჯულება საკადრისს უზღაეს, რომ ასეთ მძიმე დანაშაულს ვერავინ აპატიებს კომუნისტს, საკმაოდ გამოცდილ და ცხოვრებაში ჩახედულ კაცს, რომელმაც მტრობისა და შურისძიების გრძნობის კარნახით ასეთი ნაბიჯი გადადგა და ცილისმწამებლური ანონიმური წერილებით ამდენი მორალური ტკივილი განაცდევინა, სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგა ადამიანებს.

თქმა არ უნდა, ყოველივე ეს გასაგებია ა. მულაძისათვის. იგი იმასაც გრძნობს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია, მის საქციელს გულგრილად არ დატოვებს — იმსჯელებს, სათანადო დასკვნებს გააკეთებს და ამიტომაც აკერია ახლა პირზე „შეეცდი“, „დამნაშავე ვარ“, „მაპატიეთ“.

არა, ეს უბრალო შეცდომა, შემთხვევით გადადგმული, დაუფიქრებელი ნაბიჯი არ არის. სამწუხაროდ, ასეთი „შეცდომები“ ჩვენში ზოგიერთს ახლაც მოსდის. ცხადია, ყოველივე ეს ცილისმწამებლებისა და ჩვენი საერთო საქმის ავის მსურველების შეგნებული მოქმედებაა, ნამდვილი ბოროტება, დანაშაულია და არავის არ უნდა ეპატიოს.

ბ. ჩიქვინიძე.

მოსწავლეთა საგზამთრო არდადეგები

29 დეკემბრიდან — 12 იანვრამდე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები დაიწყება 29 დეკემბერს და გაგრძელდება 1975 წლის 12 იანვრამდე.

მეცადინეობა სკოლებში შეწყდება 28 დეკემბერს. გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 12 იანვარს, ოთხშაბათს, შაბათის ცხრილით.

ქმწვანებენ დედაქალაქს

კასპელთა საჩუქარი

თბილისი რომ ულამაზესი და კეთილეცი იყოს, ქუჩებს, ფერდობებს თუ ქალაქის შემოგარენს არ ენდა ადამიანი, ბევრ ადგილზე ჩვენს დედაქალაქში მწვანე ნარგავები პირტო თვალის გასახარად როდი შრიალებენ, ისინი პირველი რიგში თვით თბილისელების სიჯანსაღეს და სიმხნეეს განაპირობებენ.

ამ დღეებში კასპელები ეწვევიან თბილისს. ისინი ეკრგახანია მეკობრობენ კალინინის რაიონის მშრომელებთან. ამ მეგობრობისა და შეფობის აღსანიშნავად კასპში სპეციალური სხდომაზე ხელშეკრულებაც დაიდო.

კასპელან ოთხმოცამდე მშრომელი გეგზავნა. მათ კალინინის რაიონის გასამწვანებლად ხუთას ძირზე მეტი სოკოთესო ჯიშის ფიჭვის ნერგი ჩამოიტანეს და სასტუმრო „ეფრიის“ ახლომდებარე შიშველ ფერდობებსა და მთაშვინდის პანეფონსკენ მიმავალ აღმართზე დარგეს. მალე გაშლიან ტოტებს ხეები და ათასობით თბილისელი მაღლიერებით მოიგონებს მწვანე ნარგავთა სიცოცხლის მესვეურებს.

ქალაქსა და სოფელს შორის შეფობა დღითიდღე იზრდება, კალინინის რაიონის მშრომელებს არ დავიწყებიათ თავიანთი მეგობრები, ისინი კასპელებს დაეხმარნენ მოედნის მოასფალტებაში, შენობების გათბობაში, წყალსადენის გაყვანაში.

„მეტალურგის“ დაჯილდოება

რუსთავის ფეხბურთელთა გუნდმა „მეტალურგმა“ წელს თავისებური რეკორდი დაამყარა — მოიპოვა საქართველოს თასი, საბჭოთა კავშირის მეღიონთა ძირეული კოლექტივების თასი და გახდა საქართველოს ჩემპიონი პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის.

საქართველოს ჩემპიონატში „მეტალურგმა“ 38 თამაშიდან მოაგროვა 57 ქულა, მოიგო 23, ფრედ დაამთავრა 11 და წააგო მხოლოდ 4 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 72:29. კოლექტივი ორი წლის „იძულებითი შესვენების“ შემდეგ კვლავ დაუბრუნდა „ა“ კლასის მეორე ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს, სადაც მომავალი წლიდან ითამაშებს.

18 დეკემბერს რუსთავის მეტალურგთა სასახლეში გაიმართა „მეტალურგის“ ფეხბურთელთა დაჯილდოება, რომელსაც დაესწრნენ რუსთავისა და თბილისის საზოგადოებრიობისა და ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშა და საქართველოს ჩემპიონის ვერცხლის თასი საზეიმო ვითარებაში გადასცა ფეხბურთელთა გუნდს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მანარაძემ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. აიეტაძემ მიულოცა სპორტსმენებს მოპოვებული გამარჯვება და წარმატება უსურვა მომავალში. ფეხბურთელებს მიესალმნენ ქალაქ რუსთავის საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.
(საქინფორმი).

ფარიკაობა

ანგორ გაგულაშვილი — მესამე

მოსკოვში დაიწყო ახპარეზობა სსრ კავშირის თასზე. იგი საიუბილეოა — იძღვნება საბჭოთა ფარიკაობის 50 წლისთავს. პირველი ორთაბრძოლები ჰქონდათ ხმლით მოფარიკავეებს. შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოვიდა ქუთაისელი ანგორ გაგულაშვილი. „მისი მიღწევა მით უფრო საპატიოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველობა მოიპოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და მეუნეხნის ოლიმპიადის ჩემპიონმა მინსკელმა ვიქტორ სიდიაკმა. მეორე იყო მოსკოველი ვიქტორ კროგოპუსკოვი.

საიუბილეო ტურნირმა მოსკოვში შეკრიბა 200-ზდე „მეშვიტერი“. ესენი ორიან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის თასების მფლობელნი, ყველანი — ნაკრების კანდიდატები, რომელთა შორის ოქროს მეტი მესერეოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.

ჰოკეი

უკანასკნელ წუთებში

მოსკოვის ყინულის ახპარეზზე გუშინწინ დაძაბული ბატჩი ჰქონდათ საბჭოთა ჰოკეისტებს „იზვესტიას“ საერთაშორისო პრიზზე — ისინი ძირითად მეტოქეებს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს მასპინძლობდნენ. ანგარიში საბჭოთა სპორტსმენებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ ხტუმრებმა მოახერხეს საპასუხო შაიბის გატანაც და დაწინაურებაც კი. მესამე პერიოდის დასაწყისისათვის მასპინძლები ისევ წინ იყვნენ — 3:2. ჩეხოსლოვაკიელები კვლავ ათანაბრებენ ანგარიშს. ბატჩის დამთავრებას ორიოდე წუთიღა აკლდა, როცა მსოფლიოს ჩემპიონებმა ზედიზედ სამი შაიბა გაიტანეს სტუმართა კარში და მეათედ გაიმარჯვეს ამ მარათონულ ტურნირში. გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თამაშში დამთავრდა ფრედ — 3:3, მესამე კალენდარული ბატჩი კი ხვალ გაიმართება.

კვლავ გამარჯვება

კანადის ტურნეში მორიგი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრემა. ჩვენმა სპორტსმენებმა 4:2 დაამარცხეს ქალაქ გალიფაქსის „ნოვა სკოტია ვოიაჯერსი“.

საბჭოთა ჰოკეისტებს ბოლო შეხვედრა ექნებათ მონკტონის გუნდთან.

ეკრანი

პირველი ტელეკავერი

23 დეკემბერი

16.05 — სატელევიზიო ფილმი, 17.05 — სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი საოჯახო კლუბი“, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 19.50 — კინონარკვევი, 20.10 — „საჯარობა ამაღლებს შეჯიბრების ქმედითობას“, 20.25 — „ბიზნესის სამყაროში“. პროცესი სამ მილიონზე (სტუდიაში — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი ვ. დუნაევი), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბალეტი“.

24 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა, 11.30 — კინოპროგრამა, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „შემიძლია გუბურაზე გადახტომა“, 16.05 — კინოპროგრამა, 17.05 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 18.50 — „დამაფიქრებელი კონტრასტები“, 19.10 — „სპორტული მიმოხილვა“, 19.30 — მხატვრული ფილმი „თადარიგის ოფიცერი“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.10 — ახალი ამბები.

25 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ტიმანნის მეგობარი“, 16.05 — კინოპროგრამა, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 18.30 — კინონარკვევი, 18.50 — განცხადებები, 18.55 — სატელევიზიო ფილმი, 19.25 — „მხედრული დიდება“ — სატელევიზიო ფურნალი, 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — ლეიპციგის. XVII საერთაშორისო ფესტივალზე პრემირებული დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „ხარატი“ (ლენინგრადი) — (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი.

26 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმები, 12.30 — მხატვრული ფილმი „თადარიგის ოფიცერი“, 16.20 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — „სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა“ — „ჩეხოსლოვაკია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრკ ისტორიაში, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „ეკონომია დასახმარებლად“, 19.05 — „დირიჟორი“ (გამეორებით), 20.10 — „ლოთობა — ბოროტებაა“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

27 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.15 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი — „მაია პლისეცკაია“, 12.30 — მხატვრული ფილმი — „ბაზაფხულის ნიაღვრები“, 16.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ბიჭუნას კაპიტანს ეძახდნენ“, 17.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 19.00 — გადაცემა — ფოტოოსტატი ალექსანდრე საკოვი“, 19.25 — კინონარკვევი, 19.40 — „ახალი წლის ზღურბლზე“, 20.00 კინონარკვევი, 20.20 — „ბიზნესის სამყაროში“ — აზარტის იმპერია (სტუდიაში — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი—ვ. დუნაევი) — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ზეიგნის თარო“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ადრე დამთავრებული ბავშვობა“,

28 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „ბურაკინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინონარკვევი, 11.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.25 — მხატვრული ფილმი „მოულოდნელი სტუმარი“, 13.50 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.20 — ფერადი ტელევიზია — „მღერის ნუნუ გაბუნია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.15 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.15 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — „ეროვნიერების სადარაჯოზე“, 19.30 — „საესტრადო პანორამა“, 20.00 — ფერადი ტელევიზია — „მონგოლეთის მზიანი დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

29 დეკემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია „ბაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი — „წითელი ყელსახვევი“, 12.20 — კინონარკვევი, 12.35 — ფერადი ტელევიზია — „მუსიკალური კოისკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.05 — ბავშვებისათვის — „მოდთი ერთად ვიმღეროთ“, 13.45 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.05 — „შეეცადეთ სწავლა“ — „ეროვნული ენა“, 15.05 — „კინოოფიშა“, 15.30 — კონცერტი, 16.05 — „ახალ